თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 01.04.2025 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე შალვა ჭანკვეტაძე

სხდომას ესწრებოდნენ: 1. შალვა ჭანკვეტაძე, 2. იზა მაგრაქველიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ბადრი ბუცხრიკიძე, 5. ნინო მახათაძე, 6. ელისო მურადაშვილი, 7. ლაშა გურგენიძე, 8. დავით ცხადაძე 9. ტარიელ ფანჩულიძე

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კობა კირკიტაძე, 2. კახა ბუცხრიკიძე

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 9
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N28-2825090119 წერილი, 31.03.2025 წ)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ კომისიის წევრებს გააცნო, თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი. დადგენილების დანართის მე_11 მუხლში კონკრეტდება დადგენილებით გათვალისწინებულ მომსახურეობის მონიტორინგზე პასუხისმგებელი სამსახური და შესაბამისი სამსახურის ნაცვლად მითითებულია ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური. ხოლო N2 დანართში იცვლება ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის არცერთ წევრს აზრი არ გამოუთქვამს.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 9, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

შალვა ჭანკვეტაძე